შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"-ს

თარიღი: 5 ივნისი, 2018 წელი

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ბატონებო,

საზოგადოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ჩვენ ვადასტურებთ ინფორმაციას რომლითაც თქვენ უზრუნველგყავით შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინ კრედიტი"-ის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს.

ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა არის ჩვენი, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

ვადასტურებთ, რომ ჩვენი, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნა, დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდეს თაღლითობისა თუ შეცდომების გამო გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად:

ასევე ვადასტურებთ, რომ:

1. კომპანია წარმოადგენს ბალანსში აღრიცხული ყველა აქტივის მფლობელს;

2. ყველა აქტივი, მათ შორის ყველა ფულადი და საბანკო ანგარიში, აღრიცხულია და ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში;

3. ნებისმიერი შეთანხმების/კონტრაქტის ფინანსური შედეგი და/ან ყველა ოპერაცია, რომელიც აღრიცხული უნდა ყოფილიყო კომპანიის ბუღალტრულ ჩანაწერებში შესაბამისად იყო აღრიცხული და სამართლიანად წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში;

4. ფინანსურ ანგარიშგებაში სრულად და არსებითად ზუსტად არის წარდგენილი ყველა თანხა და მათი გათვლები ეფუძნება და შეესაბამება ანგარიშგებისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

5. ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ჩვენთვის ცნობილ ყველა ვალდებულებას;

6. ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართულია ყველა ხარჯი, რომელიც გაწეულია კომპანიის მიერ და სწორად არის მიკუთვნებული შესაბამის საანგარიშო წელს;

7. კომპანია აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ყველა ფინანსურ კოეფიციენტს;

8. არც ამ წერილის მომზადების თარიღისათვის და არც ბალანსის თარიღისათვის კომპანია არ ყოფილა ჩართული ისეთ სასამართლო დავაში, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

9. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს რომ საწარმო განჭვრეტად მომავალში იფუნქციონირებს საქმიანობის მასშტაბების მნიშვნელოვანი შეზღუდვების გარეშე;

10. ჩვენ არ გვაქვს რესტრუქტურიზაციის ან რეორგანიზაციის რაიმე ისეთი გეგმა ან განზრახვა, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლიდა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას ან მათ კლასიფიკაციას;

11. დღევანდელი თარიღისათვის ჩვენ არ ვართ საქმის კურსში:

ა. კომპანიის ხელმძღვანელობის ან თანამშრომლების შეცდომების შესახებ, რომლებსაც ექნებოდათ არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე,

ბ. მოქმედი კანონებისა და ნორმების დარღვევების შესახებ, რომელთა შედეგებიც ახსნილი უნდა ყოფილიყო ფინანსურ ანგარიშგებაში ან მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული პირობითი ვალდებულებების აღრიცხვისას.

12. ბალანსის თარიღის შემდგომი ყველა მაკორექტირებელი მოვლენა, თუკი ასეთი იყო, სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში და ყველა სხვა ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ფინანსური ანგარიშგების სწორად აღქმისათვის, სრულად და ნათლად არის ასახული წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისად.

მერაბ მარდალეიშვილი
დირექტორი